

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(115) 2016 წ. 1-15 მარტი ფასი 50 თეთრი

## გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას!



სიცოცხლის განახლებას, დედისა და ქალთა ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ ჩვენო ძვირფასო ქალბატონებო!

სიკეთის, სიხარულის, ერის გამთლიანების, გაძლიერებისა და გამრავლების გაზაფხული შემობრძანებულიყოს საქართველოში!

ყოველივე კარგს, საუკეთესოს გისურვებთ!



*ფრიდონ ბურდული*
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,*
*გიორგი გზირიშვილი*
*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*

## საგარეჯოს №11 საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა



### ზურაბ მღებრიშვილი

**დაიბადა** 1968 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში. 1989-1993 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

2006 წლის მარტიდან 2016 წლის თებერვლამდე მუშაობდა საგარეჯოს №11 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2016 წლის თებერვლიდან კი საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №1/2016 განკარგულებით ზ. მღებრიშვილი არჩეულია საგარეჯოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.



### თამილა კევლიშვილი

**დაიბადა** 1968 წელს, ქ. საგარეჯოში

1986-1991 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1993-2016 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სილამაზის სალონში კოსმეტოლოგად.

2000-2014 წლებში აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების მომზადების პროცესში.

2016 წლის თებერვლიდან საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №2/2016 განკარგულებით არჩეულია საგარეჯოს №11 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.



### მარიამ თოფურია

**დაიბადა** 1980 წელს ქალაქ თბილისში. პროფესიით არის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებული პედაგოგი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს პარლამენტში და საგარეო საქმეთა სამინისტროში. 2016 წლის თებერვლიდან საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №3/2016 განკარგულებით არჩეულია საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნად.

ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.



### ნატა ლომიძე

**დაიბადა** ქ. თბილისში. დაამთავრა ქ.თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიანთმცოდნეობა-სოციოლოგიის ინსტიტუტი. პროფესიით არის სოციოლოგი.

2016 წლის თებერვლიდან საგარეჯოს №11 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია.

აქვს მდიდარი საარჩევნო გამოცდილება.

ჰყავს ერთი ვაჟი.



### გიორგი ბუხნიკაშვილი

**დაიბადა** 1989 წელს ქ. საგარეჯოში

2006-2001 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 2011-2013 წლებში კი მაგისტრატურაზე. კვალიფიკაცია – სამართალმცოდნე.

2013 წლის 17 მაისიდან მუშაობა დაიწყო საგარეჯოს საოლქო-საარჩევნო კომისიაში წევრად, სადაც მუშაობს დღემდე.

## 15 მარტიდან დიდმარხვა დაიწყო. შეგეწიოთ მარხვის მადლი!

# „სოფლის მხარდამჭერის" პროგრამა

## შეხვედრები მოსახლეობასთან

## იკვეთება პრიორიტეტები



**პრიორიტეტების** გამოვლენის მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები აქტიურად გრძელდება. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** მარტის დასაწყისში სოფ.უჯარმის, პალდოსა და მუხროვანის მოსახლეობას შეხვდა.

**სოფ. უჯარმის** მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფლისთვის გამოყოფილი 19055 ლარიდან ნაწილი გარე განათებების მოწყობას მოხმარდება, ხოლო დარჩენილი თანხით სოფლის შიდა გზები მოიხრეშება.

**სოფ. პალდოს** მაცხოვრებლებმა პრიორიტეტი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას მიანიჭეს, რისთვისაც 4766 ლარი დაიხარჯება.

**სოფ. მუხროვანის** მოსახლეობა პროგრამის მიხედვით გამოყოფილ 4972 ლარს წინა წელს დაწყებული წყლის პროექტის დასრულებას მოახმარს.

შეგახსენებთ, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განსახორციელებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 1 060 519 ლარი გამოეყო

სოფ. გომბორის, ასკილაურის, ვაშლიანის, რუსიანის და ვერონას მოსახლეობამ თავად შეარჩია ის პრიორიტეტები, რომელთა მოგვარებაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება.



**სოფ.გომბორის** მოსახლეობა პროგრამის მიხედვით გამოყოფილ 19759 ლარს სასაფლაოს შემოსაღობად და წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეზერვუარში დასაერთებლად გამოიყენებს.

**სოფ. ასკილაურის** მოსახლეობის გადაწყვეტილებით 5715 ლარი გზის მოსახრეშად დაიხარჯება.

**სოფ. ვაშლიანის** მოსახლეობამ პრიორიტეტად ასევე გზების მოხრეშვა დაასახელა, რისთვისაც 4282 ლარს გამოიყენებს.

**სოფ. რუსიანის** მაცხოვრებლების გადაწყვეტილებით, მათი სოფლისთვის გამოყოფილი 5176 ლარი 300 კაციანი სარიტუალო კარვის და ლითონის კონსტრუქციის შესაძენად დაიხარჯება, ხოლო დარჩენილი თანხა წყლის შიდა ქსელის მოწყობას მოხმარდება.

**სოფ. ვერონას** მოსახლეობის გადაწყვეტილებით კი მათთვის გამოყოფილი 5391 ლარი რიტუალების სახლის კეთილმოწყობას მოხმარდება.

*გვანცა ჯავახიშვილი*



# გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული საკრებულოს დეპუტატებთან და თანამშრომლებთან ერთად ესტუმრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს და გაზაფხულის ყვავილებითა და კვების პროდუქტებით მიულოცა 8 მარტი. საჩუქრები 56 ოჯახს გადაეცა.












# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

**26 თებერვლის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საკრებულოში მოქმედი კომისიებისა და გამგეობის სამსახურების მიერ.



საკრებულოს დეპუტატებს დღის წესრიგის I საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ გააცნო ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ალ. მეზვრიშვილმა.**

სხდომის მონაწილეებმა ასევე მოისმინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტის **მადლენა სამუნაშვილის** მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“. მის მიერვე იქნა წარმოდგენილი საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **გიორგი ქურდოვანიძემ** სხდომის მონაწილეთ გააცნო საკითხები: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასის და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2584 მ2 მიწის ნაკვეთის ნაწილის – 224,53მ2 ფართის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

ქალაქ საგარეჯოს მცხოვრებთაგან შემოსული განცხადებები მათი საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის მინიჭების შესახებ დეპუტატებს გააცნო ამავე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ **ელდარ მეფარიძემ.**

დეპუტატებმა მოსმენილ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

***

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 მარტის რიგგარეშე სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლის რეგიონული ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“ მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **გიორგი ქურდოვანიძემ.** როგორც მან აღნიშნა, სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის, რომლის სიგრძე 7 კმ-ია ასფალტო-ბეტონის საფარის მოსაწყობად რეგიონული ფონდიდან გამოყოფილია 2 576127,81 ლარი. პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადებია 01.03 – 01.05. 2016 წელი.

II საკითხზე – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ორგანოებზე „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხების შესახებ“ მოხსენება გააკეთა **გიორგი ქურდოვანიძემ.**

მანვე გააკეთა მოხსენება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული ხეების (ალვის, კედარის, ვერხვის, ნაძვის) გადაბელვა-გაკაფვითი სამუშაოების შესრულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ისაუბრა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ვაჭრიშვილმა.**

ქალაქ საგარეჯოს მცხოვრებთაგან შემოსული განცხადებები მათი საცხოვრებელი ბინების ნუმერაციის მინიჭების შესახებ დეპუტატებს გააცნო ამავე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ **ელდარ მეფარიძემ.**

დეპუტატებმა მოსმენილ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მთის კანონი

# მათ ფუძის ანგელოზები ელიან

**გასული საუკუნის 80-იან წლებში მაშინდელმა მთავრობამ მაღალმთიანი რაიონების მიმართ ყურადღება გამოიჩინა და 50-60-იან წლებში დაშვებული შეცდომების გამოსწორება დაიწყო. რესპუბლიკურ პრესაში გაჩნდა რუბრიკები: „მთას დაუბრუნდა მთიელი“, „მთა გვიხმობს“ და ა.შ. ტელეგადაცემები ფუძესდაბრუნებულ მთიელებზე მოგვითხრობდა. დაწესდა რაღაც შეღავათებიც, მაგრამ ძნელი იყო ნაძალადევად ბარში „დაფუძნებული“ მთიელების ახლიდან „აყრა“ და ისევ მთის პირობებში დაბრუნება...**

**მალე მთავრობაც შეიცვალა და ისევ მარტოდდარჩენილი, ერთი-ორი მოხუცის ანაბარად დატოვებული სიცოცხლის სურნელდაკარგული სახლების ერდოებზე ჩამოსკუპებული ფუძის ანგელოზები ისევ ჩვეული მოლოდინით თვალებგაფართოებულნი ელიან თავიანთ კერიაზე მოსაბრუნებელ ოჯახებს.**

**გასული საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბარში ჩამოსახლებულ მთიელებს საავარაკოდ „შემორჩენილი“ საცხოვრებლებიც მიატოვებინა. არადა, ბარი მთითაა მდიდარი და ძლიერი, მთა- ბარით. ეს საუკუნეებმაც აჩვენა. უკანასკნელ ხანს მთას ფასი დაედო – მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა დიდი მოწონებით შეხვდა მთის კანონის შემოღებას, რაც მაღალმთიანი რეგიონების მიმართ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს მთელი რიგი მუნიციპალიტეტის სოფლებს. მათ შორის არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 9 სოფელიც: <u>გომბორი, ასკილაური, გორანა, ვაშლიანი, რუსიანი, ვერონა, ზემო ყანდაურა, იკვლივ გორანა, მარიამჯვარი.</u>**

**ჯერჯერობით დიდი მოლოდინი გვაქვს, რომ მათ რიცხვს კოჭბანისა და უჯარმის თემების სოფლების დაემატება.**

**(ქვემოთ შემოკლებით გთავაზობთ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებს.)**

# მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

**გაცნობებთ**, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაწყებულია მოქალაქეთა განცხადებების მიღება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების მიზნით.

**წარმოგიდგენთ** იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა წარმოდგენაც სავალდებულოა განცხადებასთან ერთად.

**განცხადებას უნდა დაერთოს:**

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სხვა პირის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში – უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ბ“ პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტების სახით შესაძლოა წარდგენილ იქნეს:

1) დოკუმენტები ან მასალები, მათ შორის ფოტოსურათები, რომლებიც ადასტურებენ ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში შინასამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფაქტს, რაც გულისხმობს საცხოვრებელი ადგილის გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას და მაღალმთიან დასახლებაში არსებული უძრავი ქონების ფლობას;

2) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ საარსებო შემწეობის მისაღებ შესაბამის ზღვრულ ქულაზე. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს გაცემული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენამდე არაუმეტეს 15 დღით ადრე;

3) საჯარო სკოლის მიერ გაცემული ინფორმაცია, ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლაში დასაქმების თაობაზე;

4) უფლებამოსილი იურიდიული პირის/ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში მდებარე დაწესებულებაში/იურიდიულ პირში დასაქმების ფაქტს;

5) იმავე მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ ორი მოწმის განცხადება;

6) მაღალმთიან დასახლებაში გადასახდელების ან/და მომსახურების საფასურის/ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;

7) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრებას.

სავალდებულოა, რომ განცხადებას დაერთოს 1-7 პუნქტებით განსაზღვრული არანაკლებ ორი დოკუმენტი.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა*

# საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ

**მუხლი 4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში**

1. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სოციალური შეღავათებით.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში შემდეგი სოციალური შეღავათების დაწესებას:

ა) საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას. აღნიშნული დანამატის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას:

ბ.ა) ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით;

ბ.ბ) ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით;

გ) ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის

<u>*დასასრული მე-4 გვერდზე*</u>

№5(115) 2016 წელი, 1-15 მარტი

# საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ

დასასრული

15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;

ე) ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას. მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და ამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო პროგრამას;

ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისათვის ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით მიცემას. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლისათვის, რომელიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშია დასაქმებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ან პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტის – მიცემას. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანამატი არ მიეცემა პირს, რომელიც ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათით სარგებლობს.

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეიმუშაოს დამატებითი სოციალური პროგრამები. აღნიშნული პროგრამები მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მიაწოდონ მათთან დაცული ინფორმაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათების გასაცემად.

**მუხლი 5. საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში**

1. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით.

2. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.

3. მეწარმე სუბიექტისთვის მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო, აგრეთვე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობები განისაზღვრება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. მეწარმე სუბიექტს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი არ მიენიჭება ან ეს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს:

ა) ლიცენზირებისადმი/ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას;

ბ) მომსახურების (გარდა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მომსახურებისა) გაწევას;

გ) საქონლით ვაჭრობას, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება.

5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილებით განსაზღვროს ამავე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის ის სახეები, რომლებზედაც აგრეთვე გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი.

სოფლის მეურნეობა

# მცირემიწიან ფერმერთა დასახმარებლად

***როგორც** უკვე ცნობილია, 2016 წლის გაზაფხულზე კვლავ გაგრძელდა „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც გასულ წლებში წარმატებით განხორციელდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. უკვე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში სულ 8 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ბარათი გაიცემა.*

**მათგან:**

ბადიაური – 241
ბოგდანოვკა – 155
გიორგიწმინდა – 395
ასკილაური – 34
გომბორი – 305
ვაშლიანი – 12
ვერონა – 23
რუსიანი – 22
დიდი ჩაილური – 188
დუზაგრამა – 139
ვერხვიანი – 113
თოხლიაური – 235
თულარი – 247
კაზლარი – 113
იორმუღანლო – 268
ქეშალო – 30
კაკაბეთი – 690
გორანა – 44
იკვლივ გორანა – 3
კოჭბანი – 151
ოთარაანთკარი – 2
სასადილო – 45
სათაფლე – 20
ზემო ლამბალო – 25
ლამბალო – 2
ქვემო ლამბალო – 68
მანავი – 540
ნინოწმინდა – 314
წყაროსთავი – 3
პატარა ჩაილური – 166
პატარძეული – 1039
უდაბნო – 1
მუხროვანი – 2
პალდო – 16
უჯარმა – 179
ქ. საგარეჯო – 1365
შიბლიანი – 104
წყაროსთავი – 165
ხაშმი – 315
ყანდაურა – 241

სოფლის მეურნეობა

# „ნაზამთრალი მიწა გვიხმობს“...

**გაზაფხულის I თვე უკვე იმ სამუშაოების ჩატარებას ითხოვს, რაც გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრის სამუშაოების შემდეგ უნდა ჩატარდეს. მარტის I ნახევარში ითესება და ირგვება ის კულტურები, რომელთათვისაც ნიადაგი ჯერ კიდევ შემოდგომიდან მზადდება. მართალია, ნივრისა და ხახვის დათესვა-დარგვა ჩვენს პირობებში ნოემბერში უკეთესია, არც ახლაა დაგვიანებული.**

## ნიორი



**იმის** გამო, რომ ნიორს გააჩნია ფიტონციდური და ანტისეპტიკური თვისებები, მას ჩვენთან უხსოვარი დროიდან აქვს გამოყენება როგორც კულინარიაში, ისე მედიცინაში. მასში არსებული ეთერზეთები, დარიშხოვანი ნაერთები საშუალებას იძლევა ფართოდ გამოვიყენოთ ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ. ამ თვისებების გამო იგი თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება კულინარიაში. ამიტომაცაა ქართველი კაცი დიდ ყურადღებას აქცევს ნივრის მოყვანის ტექნოლოგიური პროცესების დაცვას. მისთვის ნიადაგს შემოდგომაზე ამზადებს – ნიადაგის მოხვნის წინ ნიადაგში შეაქვს გადამწვარი ნაკელი, რომელიც მოხვნის და კულტივაციის დროს ნიადაგის ფენაში აღწევს. ნივრის დასარგავად გამოიყენება ნივრის გარეთა მსხვილი კბილები, რაც შეეხება ანაგულს (შიგნითა კბილები), იგი არ გამოიყენება დასარგავად. მართალია, ნიორი ირგვება შემოდგომით, მაგრამ მისი დარგვა ადრე გაზაფხულზეც, თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისშიც შეიძლება. 1 ჰა-ზე საჭიროა მსხვილკბილა – 1200-1500 კგ, წვრილკბილა – 800-1200 კგ. მწკრივებში მცენარეებს სორის მანძილი (წვრილკბილა) 5-6 სმ უნდა იყოს, 8-10 სმ (მსხვილკბილა), მწკრივებს შორის მანძილი 20-25 სმ. თუ შემოდგომაზე დაინერგა, მაშინ დარგვის სიღრმე 4-5 სმ-ია, გაზაფხულზე კი 2-3 სმ.

ნივრის ნაკვეთი სარეველებისაგან უნდა სუფთავდებოდეს, ამისთვის ნათესში ტარდება გამარგვლა, ნიადაგის გაფხვიერება. თოხნა საჭიროა 2-3-ჯერ ვეგეტაციის პერიოდში და 1-2-ჯერ მორწყვა. დაავადებების წინააღმდეგ ფუნგიციდის შესხურება კი საჭიროა მარტის თვიდან.

თესლბრუნვაში ნივრის საუკეთესო წინამორბედია პარკოსანი კულტურები, საადრეო კომბოსტო და კიტრი. თუ ნაკვეთში ხახვნარევი მცენარე ეთესა, იქ 3-4 წლის განმავლობაში არასასურველია ნივრის დათესვა.

## ხახვი



**ხახვს** დიდი გამოყენება აქვს მისი შემადგენელი ფიტონციდების გამო, რაც მას ბაქტორიოციდულ თვისებებს ანიჭებს და ადამიანის ორგანიზმს დაავადებათა მიკრობების სეზონური შემოტევებისაგან იცავს. ის მდიდარია რკინით, მასში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა, ვიტამინები და მინერალები. მასში არსებული კვერცეტინი სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ახასიათებს მას. აღმოჩნდა ისიც, რომ ხახვი უფრო მეტი ბუნებრივი შაქარია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში. ხახვი შეიცავს A,B და C ჯგუფის ვიტამინებს, კალციუმს, რკინას, მაგნიუმს, ფტორს, გოგირდს, ფლავონოიდებს. მასში არსებული ეთერზეთები ხახვის სპეციფიკურ გემოსა და სუნს განაპირობებენ. ხახვის წვენი გამოიყენება არა მარტო კულინარიაში, მას ფართო გამოყენება აქვს, ასევე, რევმატიზმის, უძილობის სამკურნალოდ. რაც შეეხება ხახვის ცოცხალ ფაფას, იგი კარგია თმის ცვენის, დერმატიტის, მეჭეჭების, მაზოლების, გრიპის დროს. მედიცინაში ისიცაა ცნობილი, რომ ხახვის რეგულარული მიღება არეგულირებს თრომბოციტების მუშაობას, ხელს უშლის სისხლის შედედებას, რაც მასში არსებული გოგირდოვანი მჟავების დამსახურებაა.

ხახვში შემავალი ნივთიერებები დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის დონეს და ერითროციტების წარმოქმნას უწყობს ხელს. ხახვი ხელს უწყობს საჭმლის უკეთ მონელებას, რადგან იწვევს კუჭის წვენის დიდი რაოდენობით გამოყოფას.

არსებობს ყვითელი, წითელი, თეთრი და ვარდისფერი ხახვი. იგი ჯიშის მიხედვით იყოფა 3 ჯგუფად: ცხარე, ნახევრად ცხარე და ტკბილი.

ხახვი შეიძლება დაითესოს და მისი ჭილი დაინერგოს იმ ნაკვეთებში, სადაც ეთესა პარკოსანი მცენარეები, კომბოსტოსნაირები, კიტრი, პომიდორი, მარცვლეული კულტურები. აღსანიშნავია, რომ ხახვი თესლბრუნვაში თავის ნაკვეთს შეიძლება დაუბრუნდეს მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ. ნაკვეთის მოხვნამდე მასში შეაქვთ საქონლის გადამწვარი ნაკელი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქი.

დათესვის შემდეგ ნაკვეთი აუცილებლად უნდა მოირწყას, რადგა ხახვის თესლი დანაოჭებული და მაგარია, რის გამოც მისი გაღივება გვიან ხდება.

1 ჰ-ზე ითესება 5-7 კგ ხახვის თესლი, ხოლო ინერგება 250-300 კგ ჭილი.

მწკრივთა შორის მანძილი 20-35 სმ-ია. მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი 6-8 სმ-ია. დათესვის სიღრმე 2-3 სმ უნდა იყოს.

ხახვის ნათესის სარეველებისაგან გასათავისუფლებლად ტარდება მარგვლა. გამოხშირვას აწარმოებენ 2-3-ჯერ, მწკრივებს შორის თოხნა აუცილებელია 4-5-ჯერ, მცენარეთა შორის 2-3-ჯერ. რაც შეეხება კულტივაციას, ის 2-3-ჯერ ტარდება.



# ქვირფასო ქალებო, გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს!

**ვაჟა-ფშაველა**

## ქალთა შესახებ

**დედაკაცს** დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში. კაცობრიობა შესდგება სხვადასხვა ერებისაგან, ერები ცალკე ოჯახებისაგან, ხოლო საძირკველი პირველისა, მეორისა და მესამისა არის პიროვნება, ცალი ადამიანი; რამდენადაც მათი შემადგენელი ადამიანები არიან სრულნი, ამაღლებულნი, განვითარებულნი და ბედნიერნი, იმდენადვე ამაღლებულია ოჯახი, ოჯახს გარეშე – ერი, ერს გარეშე – კაცობრიობა. თავი და თავი, მაშასადამე, ოჯახის გონივრული მოწყობა უნდა ვაღვიაროთ, ხოლო ოჯახში უფლობს დედაკაცი. დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში დიდზე და პატარაზე; შვილების პირველდაწყებითი აღზრდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, დედის ხელშია; დედაა გადამწყვეტელი შვილების ბედიღბლისა, შვილის მომავალი უსათუოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვა შვილის ნორჩი, მაგრამ ღრმად აღმბეჭდი გული და გონება... ამიტომ საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარედ საზოგადოებაში სთესდეს თესლს კეთილსა, დიაღ, ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარედ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდგან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს.

როგორც დღეს, ისე მომავალში დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას. თუ ამას ღირსეულად შეასრულებს დიდს, ძალიან დიდს საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას. ვინც ამ მოვალეობიდან განთავისუფლებული იქნება, იმას არას გზით არ აეკრძალების არავითარი კულტურული საქმე.

(1914წ)

**პედაგოგი**

## სიახლის ძიებაში



საუბარში იმ სერტიფიკატებს ვათვალიერებ, რომლებიც საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის უცხო ენის მასწავლებელს ზაირა გოცირიძე-ივანელაშვილს პედაგოგობის მოღვაწეობის 44 წლის განმავლობაში თავისი შრომით, ენერგიით, ერუდიციით მოუპოვებია. ისინი ძალიან ბევრია და თითოეული იმ მნიშვნელოვან მოვლენას და დღეს შეგვახსენებს, როცა ქ-ნმა ზაირამ რესპუბლიკურ კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში, შეხვედრებსა თუ სპეციალისტთა გადამზადების ცენტრებში მიუღია: მისი მოსწავლეები ოლიმპიურ თამაშებშიც ყოფილან ჩართული, ეს იტალიური სკოლის „ცისკრის" მასწავლებელთა კონფერენციაში მონაწილეობის, ეს გაკვეთილის დაგეგმვისა და გაკვეთილის ჩატარებისათვის, ნაშრომისათვის და ა.შ. ყველაფერს კი ამას ღირსების ორდენი ამშვენებს.

**ტკბილ,** ერთიანად შეხმატკბილებულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. საოცარი სილამაზის ხმისმქონე მშობლებმა სიყვარულით გაზარდეს მასთან ერთად კიდევ სამი შვილი. მართლაც ლამაზი ოჯახი ჰქონდათ მარო ცხვარიაშვილსა და ამირან ივანელაშვილს – ორი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილისათვის სწავლა-განათლების მისაღებად და მათთვის ადამიანების მიმართ სიყვარულის ჩასანერგად სანთლებივით იწვოდნენ და შვილების სულებს ასე ათბობდნენ და აწრთობდნენ. ოთხივე შვილი ხელოვანებად გაზარდეს, გოგონების ხმას სიმშვიდე მოჰქონდა ადამიანებისათვის, საგარეჯოს II საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდის სოლისტებს არაერთი გამარჯვება მოუტანიათ სკოლისათვის რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. ბიჭები ხატვას მიჰყვებოდნენ... ხარობდა ოჯახი. შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძეს სწავლა.

უფროსმა ქალიშვილმა ზაირამ სწავლა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში განაგრძო, სადაც სწავლასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ინსტიტუტის თვითშემოქმედებითი კოლექტივის ყოველდღიურობაში.

სიხარულით მიიღო საგარეჯომ ინსტიტუტდამთავრებული. სწორედ იმ წელს 1972 წელს გაიხსნა საგარეჯოს №3 საშუალო სკოლაც და ახალბედა მასწავლებელმა ჯერ გაუბედავად, მაგრამ რწმენით შეხსნა საკლასო ოთახის კარი. საოცარი იყო მისი გაკვეთილები – საოცარი და საინტერესო. მახსოვს ჩემი ყოფილი თანაკლასელები, რომლებიც მეათე კლასიდან №3 საშუალო სკოლის პირველი გამოშვება იყო, როგორი აღფრთოვანებით საუბრობდნენ ზაირა მასწავლებელზე, რომელმაც ღირსეულად დაიწყო უცხო ენის მასწავლებლობა. ახლა საუბარში მეუბნება ქ-ნი ზაირა:

– მე ჩემს პედაგოგად ჩამოყალიბებას ჩემი ინგლისური ენის მასწავლებელს თინა მაჭავარიანს ვუმადლი. გახსოვთ, როგორი შემართებით გვასწავლიდა ჩვენთვის ისეთ უცხო ენას, რომელიც ის-ის იყო სკოლაში იმკვიდრებდა ადგილს. ლექსებით, სიმღერებით, გამოცანებით შეგვაყვარა შექსპირის ენა. მისმა ყველა მოსწავლემ იცოდა გამართული კითხვა, რადგან თვითონ ისე იხარჯებოდა გაკვეთილზე, უბრალოდ, ზარმაცსაც კი სინდისი შეაწუხებდა. მე ბევრზე ბევრი რამ მისგან ვისწავლე. ჩემს მასწავლებლად ვთვლიდი ადრეც და ახლაც. ვცდილობ არ შევარცხვინო მისი სახელი ჩემს გონებაშიც კი და ვეძებ სიახლეებს, რაც ჩემს მოსწავლეებს მეტ ინტერესს გაუჩენს ამ ენის დასაუფლებლად, გაუადვილებთ მის შესწავლას.

ქალბატონი ზაირას მიერ მოპოვებული გრანტით კი სკოლას თეთრი დაფით, ახალი მერხებით დამშვენებული უცხო ენების კაბინეტი შეემატა ისეთ წლებში, როცა სხვა საკლასო ოთახებში უბრალო მერხებიც კი ეკლდა სკოლებს... სიახლეების ძიებაში გადის წლები. ამ სიახლეების ძიებისათვის კი ოჯახში ხელს უწყობს მეუღლე – ყოფილი ფეხბურთელი რეზო გოცირიძეც.

დღეს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად უამრავი მასალა აქვს. – ძალიან მინდა ინგლისურ და ქართულ ენებზე ჩავატაროთ გაკვეთილი თემაზე „ენა, მამული, სარწმუნოება", მასალა ბევრი მაქვს. კარგი, გონებანათელი, მონდომებული, ნიჭიერი მოსწავლეები მყავს და ვიცი, მხარს ამიბამენ და წარმატებით ჩაერთვებიან გაკვეთილის მოსამზადებელ პროცესში, – მეუბნება ქალბატონი ზაირა. მეც ვინტერესდები, ამ გაკვეთილით, ვიცი, მთელი გულითა და გონებით ასწავლის თავიანთ მოსწავლეებს სიმართლესა და ჭეშმარიტებას, სიყვარულს...

ვსაუბრობთ თითქოს ახლახანს საგარეჯოს ქუჩებსა და ორღობეებში ჩარბენილ ბავშვობაზე, სტუდენტობაზე, დღევანდელ ცხოვრებაზე. იხსენებს ბავშვობიდანვე როგორ უყვარს ხალხური სიმღერები „ბერიკაცი ვარ", „წუთისოფელი ასეა" და ყველა იმ სიმღერას, რომელსაც დედასთან, დეიდასთან, თავის უმცროს დაიკოსთან – მზიასთან (ისიც პედაგოგია რუსული ენის და ლიტერატურის) ერთად მღეროდა და მღერის. შემდეგ საყვარელ მწერალს დრაიზერს იხსენებს და მის გმირ ქალებს, რომელთა ცხოვრების გაცნობამაც შეიძლება ნებისმიერ ქალს გადაალახინოს ნებისმიერი ცხოვრებისეული დაბრკოლება.

საუბარში დრო გადის. გარეთ გაზაფხულის პირველი დღის – 1 მარტის სუნთქვა ისმის...

ქ-ნი ზაირა თავს შეუძლოდ გრძნობს, ექიმის მითითებით ემორჩილება მის დანიშნულებას და სახლშია, მაგრამ ერთი სული აქვს, როდის გამოჯანმრთელდება და დაუბრუნდება თავის მოსწავლეებს. გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ და ამ პატარა საგაზეთო სტატიით ვულოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას და ქალთა დღესასწაულს.

**ექიმი**

## როცა ასეთი სიყვარულია



**ბავშვობიდანვე** ოცნებობდა ექიმობაზე. ძალიან უყვარდა თავისი მარინა ექიმი, რომელთანაც მისვლა დედის ფორიაქის საპირისპიროდ, დიდ სიხარულს ანიჭებდა. ერთი ეგ იყო, სრულიად ჯანმრთელი იყო, იშვიათად უხდებოდა საყვარელ ექიმთან შეხვედრა როგორც პაციენტს, თორემ, ისე ხშირად ხვდებოდნენ ქუჩაში ერთმანეთს... სულ აკვირდებოდა, სულ აინტერესებდა. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, ცდილობდა მისთვის მიებაძა, სწორედ ისეთი ყოფილიყო, როგორიც ის, –მისი იდეალი იყო. სწორედ ამიტომ შეიტანა საბუთები სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად, ქირურგიის ინსტიტუტის კვლევით ცენტრში მუშაობდა ექთნად. ექიმის პირველი „ნათლობა" დიდი ჩაილურის საექიმო ამბულატორიაში მიიღო საგარეჯოელმა გოგონამ. დიდი სიყვარული, პატივისცემა დაიმსახურა პირველი დღეებიდანვე და როცა საგარეჯოს პოლიკლინიკა-ამბულატორიის გაერთიანების მოზარდთა კაბინეტის ექიმად გადმოიყვანეს (წვევამდელთა ჯანმრთელობის შემოწმება-პროფილაქტიკის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე) დიდიჩაილურელებისათვის მაინც არ გაუცხოვებულა, პირიქით, აქაც დიდ იმედად იქცა, როგორც მკურნალი ექიმი. მალე ოჯახიც შექმნა, თავისი ბედი ბოგდანოვკელ დათო ზირაქაშვილს დაუკავშირა და ერთიმეორის მიყოლებით თაკო და თენგოც მოევლინნენ ამ ქვეყანას...

ოჯახს ხელი არ შეუშლია მის პროფესიულ დახვეწაში, პირიქით, გვერდში ამოუდგა მეუღლე და ექიმმა ნანა კოხტაშვილმა 2008 წელს ოჯახის ექიმის გადასამზადებელი კურსები თბილისის ფონიჭალის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში გაიარა და სოფელ უდაბნოს ოჯახის ექიმია დღემდე. სოფელში მისულს ერთი პატარა ოთახი დახვდა სკოლის შენობაში ექიმის კაბინეტად. არც არასდროს გაუტარებია შიგ დრო ტყუილად. ფეხით შემოირბენდა მთელ სოფელს, ყველა ოჯახის თითოეული წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამოიკითხავდა, გასინჯავდა, დანიშნულებას მისცემდა და დაღლის ნაცვლად, ბოგდანოვკაში უფრო გახალისებული ბრუნდებოდა. 2015 წლის 1 სექტემბერს სოფელს სამოთახიანი, კეთილმოწყობილი საექიმო ამბულატორია გადაეცა საექსპლოატაციოდ, მაგრამ არც ახლა „უყვარს" ნანა ექიმს იქ დიდხანს ყოფნა, ფეხით, ან საკუთარი მანქანით შემოირბენს სოფელს. ზოგი მოხუცია – ჰიპერტონიითა და ჰიპერტენზიით დაავადებული, ზოგი ახალშობილია, ოთხი შაქრიანი დიაბეტიკი ჰყავს, ღამე კი მედდის, ადგილობრივი მცხოვრების – ანგელინა გურჩიანის იმედი აქვს. ახლახანს 75 წლის უმძიმესი დაავადებებისმქონე ნორა იოსელიანი გარდაიცვალა და დიდი თაიგულით, წრფელი ცრემლებით გააცილა სულთა საუფლოში ოჯახის ექიმმა.

უყვართ უდაბნოელებს თავიანთი „ნანა ექიმი", როგორც მას ეძახიან. ეიმედებათ, საკუთარი ოჯახის წევრად ჰყავთ მიღებული. ასეთივე სიყვარული აქვთ ნანა ექიმის მიმართ ბოგდანოვკელებს (მზისგულელებს), თუ დღე უდაბნოშია, ღამე ხომ მოიმედებული ჰყავთ. თუმცა ნანას არ ევალება მზისგულელების სამედიცინო მომსახურება, მაგრამ რა ქნას, თანასოფლელს გასაჭირში ვერ მიატოვებს. გარდა ექიმობისა, სოფელს მისი გვერდში დგომა ეიმედება როგორც ლხინში, ასევე ჭირში – არავის დაზარდება, თავისი კულინარიული ოსტატობით ყველას გაუხარებს გულს. ერთი რამ უკვირთ თანასოფლელებსაც და უდაბნოელებსაც, როგორ ანაწილებს დროს, როგორ ივსებს გახარჯულ ენერგიას. ერთი რამ იცის ორივე სოფელმა – როცა კარგ საქმეს აკეთებს, როცა სხვას სიხარულს ანიჭებს, როცა სნეულს მკურნალობს, გაჭირვებულს ეხმარება, ამას ყველაფერს სიყვარულით აკეთებს. სიყვარულმა კი დაღლა, ენერგიის გამოცლა არ იცის. მითუმეტეს, როცა ამ სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ. ეს ურთიერთგაცვლითი სიყვარულია ყოველდღე რომ ლოცავენ ნანა ექიმის ოჯახს, მის მშობელ დედას – ნელის, რომელიც, ასევე, პროფესიით მედდა და წლების განმავლობაში საგარეჯოში არსებული ყოფილი შრომა-გასწორებითი კოლონიის სამედიცინო განყოფილების მედდა იყო. და ახლაც ისეთივე თბილი, მშრომელი და ყურადღებიანია, როგორც მისი გაზრდილი შვილი...

გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ!



სოფ. უდაბნოს ოჯახის ექიმი ნანა კოხტაშვილი და ექთანი ანგელინა გურჩიანი

# ჩვენი სახელოვანი მანდილოსნები

## ქართული სულით



**მარინა შანიძე**
***პოეტი, ოთხი შვილის დედა, პატარა ჩაი-ლურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი***

****

მინდა გაზაფხულის სითბო გაგრძნობინო,
შენგან ნათამამებს გული მევალება,
ლურჯთვალა ია ვარ, თოვლქვეშ განაბული,
ატმის ყვავილი ვარ, სუსხს რომ ემალება.
დილის მზის სხივი ვარ,
სარკმელს რომ ვაწყდები,
გულმკერდს დაგიკოცნი
კრძალვით და მალულად,
როცა მოვმძლავრდები
შენს თვალწინ გავმართავ,
დამსკდარი კვირტების დოღსა თუ
მარულას.
არ გეძებ... არ მეძებ... იცი რომ მიპოვნი,
ვიცი, რომ გიპოვნი ნუშებით დანათოვს,
აპრილში სიყვარულს დიდი აქვს ძალა და
ჩვენც მაშინ გავმართავთ
გრძნობების მარათონს!

### დედა

დროთა ტრიალმა დატოვა კვალი...
თმა შეგიფერა თეთრად ჭაღარამ,
მე კი დარდი მკლავს, ვერ შევამჩნიე,
თურმე ცხოვრებამ როგორ დაგღალა?!
რამდენი დღე და რამდენი ღამე,
თეთრად, უძილოდ გითენებია,
ზოგჯერ კი ფიქრით დაღლილს,
დაქანცულს,
სკამზე ჩამომჯდარს დაგძინებია.
ვხედავ თვალებში ჩასახლდა ბინდი,
სიცოცხლის სხივი გამოკრთის ლანდად,
ალბათ ძალიან გაწვალეთ დედა,
ოჯახზე ზრუნვამ დაგღალა ალბათ...
უფალთან ლოცვით გალიე დღენი,
სიკეთის მუდამ აღმამთესველო,
გულო – სიწმინდის შუქით გამთბარო,
ბედის სიავით გაუტეხელო,
კვლავაც ხმატკბილი გემღეროს ნანა,
გნათოდეს ზეცა გაბრწყინებული,
სამშობლო – შენი მადლით აღვსილი,
შენი ხელითვე დამშვენებული!
ჰეარტ ემოცია

***

მინდა გული ბუდეს მქონდეს,
ირგვლივ ყველა კარგად მყავდეს,
გუთნეული ბობოქრობდეს,
მკის დროს მკიდეს, ხვნის დროს ხნავდეს!
ბეღელში კი ხვავ-ბარაქა,
წლიდან წლამდე არ გათავდეს,
ქვევრთან სტუმარ-მასპინძელი,
ოქრო ვაზის ნაჟურს სვამდეს!
ცას სწვდებოდეს ლხინის ექო,
სუფრის ბოლო არც კი ჩანდეს,
მტერსაცა და მოყვარესაც,
მუდამ ერთგულება სწამდეს!
გაძლიერდეს ფუძე, კერა,
მტერიც არსად არ მოჩანდეს,
სინანული შთააგონოს,
ღმერთმა, ყველა ცოდვის ჩამდენს!
კვალში მედგეს შვილი ჩემი,
თავის ჯიშს და ჯილაგს ჰგავდეს,
სადაც შეხვდეს გაჭირვება,
იქვე გზა ნათელი ჩანდეს!...
მაგრამ, მაინც, უფრო მეტად,
მინდა დარდი გულს არ მწვავდეს,
ქართველების აღმაფრენა,
მათი სიძლიერე მწამდეს
საქართველო–ერთადერთი
მარად უძლეველი მყავდეს!!!

***

...ცაზე მთვარე ამოგორდა...
დუმან თეთრი მთები...
...და ანგელოზს ჩემს ფანჯრის წინ
გაუშლია ფრთები...
დაქრის სიო, ცელქი სიო,
ტოტებს ჩუმად არხევს
და სურნელი ღვინობისთვის,
ისევ თავბრუს მახვევს...
ცას გვირგვინად მოხდენია,
ღრუბლის თეთრი ფთილა,
მინდა ტრფობის ხელით მივწვდე
და შევეხო ფრთხილად,
მაგრამ ღამე ისე დნება,
როგორც ნაზი ფიფქი
და არ მაძლევს მოსვენებას
ზმანება და ფიქრი...
კვლავ ჩამესმის გარდასული,
მშვიდი წლების ექო:
–რაც ეწამე, რაც ეწვალე, ნუთუ აღარ გეყო?
ლამაზ წუთებს მართმევს წლები,
მიაქვს ნება–ნება
და სურნელი სიჭაბუკის,
უგზოუკვლოდ ქრება..
მახსენდება უდარდელი, უშფოთველი ხანა,
აკვნის გვერდით მუხლჩახრილი,
დედის ტკბილი ნანა,
ისიც მახსოვს, ოცნებებში,
როგორ ვშლიდი აფრებს
და რა კრძალვით მიყვებოდნენ
უსასრულო ზღაპრებს...
...წლების შემდეგ იმ აკვანთან,
ისმის ჩემი ნანა,
ახლა უკვე ჩემთვის დადგა, შფოთიანი ხანა,
შვილი ჩემი ოცნებებში
ლაღად შლიდა აფრებს
და ახლა მე ვუყვებოდი
ლამაზ–ლამაზ ზღაპრებს.
შევეჭიდე აღმართ–დაღმართს,
დამიმძიმდა ტვირთი,
დავიღალე, ამოსუნთქვაც გამიჭირდა
თითქმის,
კალო ჩემი, პურით სავსე, ვლეწე, მ
არჯვედ ვლეწე
და სიკეთის ყველა მტერი
ბნელეთს გადავხვეწე...
გული მაინც არ მისვენებს და
უფრო მეტს ითხოვს,
რაც მინდოდა, რაც მეწადა,
ვერ მოვასწარ თითქოს,
მაგრამ ის, რაც მე შევძელი,
ერთ ქალად ხომ ღირდა?
რადგან ჩემი კალთის სითბო,
ოთხ მზედ ამობრწყინდა!!!
ღმერთო ჩემო, სხვა რა გთხოვო,
თუ არ ჭირთა თმენა,
დამილოცე ხვალინდელი ზეცად
აღმაფრენა,
რომ ჩემს შემდეგ, შვილი ჩემი,
კვლავ აკვანთან იჯდეს,
მამულისთვის რუსთაველს და
თამარ მეფეს ზრდიდეს!
კვლავ ემატოს საქართველოს
ბევრი გმირთაგმირი,
წარსულს გაჰყვეს ყველა დარდი,
ყველა გასაჭირი,
ამიყვავე ფუძე ჩემი, ჩემი სახლის ეზო,
მომეც ძალა, რომ სიკეთე,
მეც სიკეთით მეზღოს.
...და სიცოცხლეს ვალმოხდილი,
როცა დავასრულებ,
რაც შეგთხოვე, ყველა ნატვრას,
თუ კი ამისრულებ,
მაშინ ალბათ, სიხარულით,
მეცხრე ცაზე ავალ
და იმქვეყნად გულსავსე და
უდარდელი წავალ...
ციდან მთვარე ჩამოგორდა...
ისევ დუმან მთები...
ჩემს ანგელოზს საიმედოდ,
გაუშლია ფრთები....

### ოღონდაც გაჩნდეს!

რა ცოტანი ვართ?! – ეს სიცოტავე,
მტრის მახვილივით, გულის წვერს წვდება,
რა საოცარი სიხარულია,
როცა ახალი სიცოცხლე ჩნდება...
...და თუ ვაჟია, უფლის განგებით,
ციხის სიმაგრე ჟამთა და დროთა,
გვქონდეს იმედი, კვლავ გაიზრდება,
ერეკლე, ცოტნე, ილია, შოთა...
ქალია?–ესეც უფლის ნებაა,
ოღონდ დღეს უკვე არის მთავარი,
რომ გაჩნდეს ცხრა ძმის გამზრდელი დედა,
გაჩნდეს ნინო და გაჩნდეს თამარი,
თორემ სიმცირით და სიცოტავით,
მამულს იარა როდემდე აჩნდეს?
ლეკვი ლომისა რადგან სწორია,
რაც გნებავთ იყოს, ოღონდაც გაჩნდეს!

## ჩვენი ჭადრების ქუჩაზე...



**როცა** საგარეჯოში, აღმაშენებლის ქუჩაზე ბებერი ჭადრის ხეების ხეივნის ქვეშ გაივლი, შენდა უნებურად ბავშვობა გახსენდება, ის განცდა გიბრუნდება სკოლისაკენ მიმავალს ფეხს რომ აგაჩქარებინებდა, სკოლის კარებს რომ შეაღებდი და უამრავი ნაცნობი მზერა შემოგანათებდა. საოცრად არ გინდა ეს ქუჩა დასრულდეს, რამეთუ ბავშვობის მოგონებებს და ჭადრების რიგს საზღვარი არ აქვს...

გასული საუკუნის 70.იანი წლები.. საგარეჯოს მე-2-ე საშუალო სკოლა...დღეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზებული შენობა, შენთვის კი სკოლის შეთეთრებული კედლები, ნათელი საკლასო ოთახები-კედელზე ოდნავ გაცვეთილ-ჩარჩოიანი ყავისფერი ფართე დაფით, თეთრსაყელოიან მუქი ფერის, „ფორმის,“ კაბებსა და ქათქათა პერანგებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები, სკოლის ზარის გაბმული, ჟღერადი ხმა და ბოლოს, შენს თვალწინ გაცოცხლებული თითოეული პედაგოგი-მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქცევით, იერით, გამოხედვით და ხმის ტემბრითაც კი.ყველას საერთო ერთი ჰქონდა: მოწოდება, მაღალი ცოდნა, გამორჩეული სიდარბაისლე და აღსაზრდელისადმი მშობლიური სიყვარული.ამიტომაცაა დღევანდელი გადასახედიდან ასე ჟრუანტელმომგვრელი მათი გახსენება:ქეთევან ჭიაბერაშვილი, ციალა კვიატკოვსკაია, რუსუდან მაზიაშვილი,ნინელი ქვლივიძე,ლენა ჩეკურაშვილი, თინა მაჭავარიანი, ნინო რევაზოვი, ფატი ფიცხელაური, ეთერი ჭანტურია, ... შენთვის კი გამორჩეული მათ შორის, რუსული ენის მასწავლებელი ლენა ჩეკურაშვილი, დღემდე „ელენა გეორგიევნა,,...

„ჭადრების ქუჩას დღესაც ახსოვს
დიდი კაცების
მძიმე ნაბიჯი, ნიჭიერი შუბლის სიფართე,
ხეთა ფოთლები დღესაც მათ
აზრს უჩურჩულებენ,
ღამის სიბნელეს, საღამოს ბინდს
თუ დღის სინათლეს,,...

მახსენდება ადრე დაწერილი ჩემი ლექსიდან სტროფი, რომელიც ალბათ ბევრი საგარეჯოელის გულისტკივილს გამოხატავს, განპირობებულს იმით,რომ ძალიან მოგვაკლდა ღირსეული გარეჯელი კაცები და ქალები, თითო-ოროლასღა შეხვდები ჭადრების ქუჩაზე და ბედნიერი ხარ, რომ ისინი კვლავ ამშვენებენ ჩვენს ქალაქს. ეს განცდა დამეუფლა, როდესაც ამ ქუჩაზე მიმავალმა მეორე სკოლიდან გამოსულ „ელენა გეორგიევნას,, მოვკარი თვალი: დინჯად მომავალი,გამართული,კვლავ საოცრად მომხიბვლელი, ამაგდარი ქალბატონი, დიდტკივილგადატანილი, მაგრამ მაინც ჩვეული, ნათელი ღიმილით და მოსიყვარულე მზერით...აი, ისეთი, როგორიც დარჩა ჩემს ბავშვობისდროინდელ ცნობიერებაში...

იმ დღესაც ასეთი ნათელი ღიმილით შემოაღო „ელენა გეორგიევნამ“ მე-9ა კლასის კარები და მისთვის დამახასიათებელი სუფთა აქცენტით ,დახვეწილი რუსულით გვითხრა, რომ დღეს უდიდეს რუს პოეტზე ალექსანდრე პუშკინზე გვესაუბრებოდა. მასწავლებლობა იმიტომაა აღმატებული სხვა დანარჩენ პროფესიებზე, რომ შენ ადამიანის და უფრო მეტიც, ბავშვის უსათუთესი სულის მოქანდაკე ხარ, შენს ოსტატობაზეა დამოკიდებული რას გამოძერწავ მისგან, რა ბეჭედს დაასვამ, „ რაც სამუდამოდ სულს დააჩნდების... ეს სწორედ ის გაკვეთილი გახლდათ, რომელმაც ასეთი შთამბეჭდავი ბეჭედი დაასვა ჩემს სულს და არა მარტო ჩემსას...პუშკინის სამყარო იხსნება მისი და ნატალია გონჩაროვას რომანტიული სიყვარულის საოცარი ფერებით, რასაც გონჩაროვასადმი დიდი პოეტის სულისშემძვრელი ლექსი მოსდევს, რუსული არისტოკრატია თავისი ინტრიგებით და ზნედაცემულობით,შემდეგ პოეტის გულისგაცრუების და უიმედობის ეპოპეა, ცნობილი დუელი და პუშკინის ტრაგიკული სიკვდილი.... ასე იწყებოდა პუშკინიადა და შენც ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხდებოდი სამუდამოდ...ყველაფერი ერთ ამოსუნთქვაში ჩატეული და ასე მიტანილი ბავშვის გულამდე, რაც დიდი პედაგოგის შემოქმედებაა, რაც გამორჩეულად ლენა ჩეკურაშვილს ხელეწიფებოდა... დიდხანს ვცხოვრობდი პუშკინით და მისი პოეზიით, მიყვარდა ტატიანა და მისი ბობოქარი ცხოვრება, ამ ყველაფერს კი ჩემი უსაყვარლესი „ელენა გეორგიევნას“, გაკვეთილებმა დაუდო სათავე. როდესაც ლენა მასწავლებელს ამაზე ვესაუბრები, მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ეღიმება და გულდაწყვეტილი მპასუხობს, რომ დღეს სამწუხაროდ რუსული ენა, რუსული ლიტერატურა პოლიტიკური უთანხმოების მსხვერპლია და ახალმა თაობებმა ინტერესი დაკარგეს ამ უმდიდრესი ენისადმი...ვეთანხმები და მეც მტკივა გული, რომ ჩვენი შვილიშვილები შეიძლება მოაკლდნენ იმ დიდ სიამოვნებას, რასაც ლენა ჩეკურაშვილის მოსწავლეები ვიღებდით მისი გაკვეთილებიდან.

წელს ლენა ჩეკურაშვილს პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი უსრულდება. მაღალი პასუხისმგებლობით დატვირთული, დღე და ღამე მოსწავლეებისთვის ზრუნვასა და მათი გამარჯვებების სიხარულით გაცისკროვნებული ნახევარი საუკუნე,უამრავი მადლიერი და წარმატებული მოსწავლე, ვის დაფრთიანებაშიც განუსაზღვრელია მისი წვლილი. დღეს კვლავ ახალგაზრდული შემართებით, აქტიურად განაგრძობს პედაგოგიურ საქმიანობას თავის მშობლიურ საგარეჯოს მე-2-ე საჯარო სკოლაში და სჯერა, რომ კვლამ მრავალ ღირსეულ ადამიანს გაუზრდის ჩვენს ქვეყანას. ლენა ჩეკურაშვილის და ბ.ნი გოგი ოდიკაძის ოჯახი ერთ-ერთი ღირსეული ოჯახია საგარეჯოში, რომელსაც ყოველთვის აქტიური პოზიცია ეკავა ჩვენი რაიონის საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. სამწუხაროა, რომ მათი ვაჟიშვილი, ზურა ოდიკაძე ნაადრევად გამოაკლდა წუთისოფელს და დაგვიტოვა სევდიანი მოგონებები ძალიან ლამაზი სულის კაცზე, ქალიშვილი – ლეილა შესანიშნავი ექიმი და ორი შვილის დედაა, მისი სითბო და გულისხმიერება საოცრად გვილამაზებს ცხოვრებას გარშემომყოფებს.ლენა მასწავლებელი 3 მშვენიერი შვილიშვილის ბებიაა და მალე დიდი ბებოც გახდება.

მახსოვს, მე-7 კლასში დავწერე თავისუფალი თემა „ჩემი საყვარელი მასწავლებელი“ მაშინაც ჩემი ფავორიტი „ელენა გეორგიევნა“ გახლდათ.ალბათ უფრო ბავშვურად ემოციური, უფრო დიდი სიყვარულის გამომხატველი და მრავლისმეტყველი იყო ჩემი ის პატარა შემოქმედება, ვიდრე ეს ლირიული წერილი, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ესეც ისეთივე გულწრფელია, როგორც მისი წინამორბედი, თუმც თქვენ, ლენა მასწავლებელო, გაცილებით მეტ სიყვარულს, პატივისცემას და მოფერებას იმსახურებთ.

გილოცავთ გაზაფხულის ულამაზეს დღესასწაულს 8 მარტს, გილოცავთ თქვენი ღირსეული პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს და ვისურვებდი კვლავ მრავალი მოსწავლისთვის გაგენათებინოთ ცხოვრების გზა.

მეორე სკოლიდან სახლისკენ ბავშვური სიხალისით გავუყვები ჭადრების ქუჩას.. და საოცრად არ მინდა ეს ქუჩა დასრულდეს, რამეთუ ბავშვობის მოგონებებს და ჭადრების რიგს საზღვარი არ აქვს...

*ლეილა ოტიაშვილი,*
***შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის სამედიცინო ცენტრის შინაგანი მედიცინის სამსახურის უფროსი.***

## მოსაფერებელი



ერთგვარი კანფეტი
ლატვიის დედაქალაქი
ციცინათელების დედოფალი
ვარსკვლავთმრიცხველი
ქალის სახელი
ერთგვარი ფულადი ინვესტიც.
საფრანგეთის ჩემპიონატი.
თანაშემწე
ბოსტნეული
„როცა აყვავდა ...“
ერთგვარი აბანო
ქალაქი რაჭაში
როსტევანის სამეფო
თავდაყირა
სპარსეთი
საბრძოლო იარაღი
ტროპიკული მცენარე



მოგზაური
ერთგვარი კერძი
გაზაფხულის ყვავილი
ღონე
სამცხის მმართვ. წოდება
ფრანგი ფერმწერი
მსახიობი ბრიუს....
მოუთხრობს
თამაში ბურთით
ფილტვების დაავადება
ჩამონათვალი
ქალის სახელი
...-ბალყარეთი
..., უსუპი და ამირანი
ნოტი ლ
ა
.... ალეგრი
ქვეყანა ვესტ-ინდოეთში
სიკეთე
ავდარი → წ
ერთ-ერთი შოუ
ფრანგი მსახიობი ... სეიდუ
... პუხი
... ანდერსონი
ერთუჯრედიანი არსება
ტანსაცმელი
სტომაქი
გიგანტი
დარტყმა კრივში
აშშ-ს სამხედრო უწყება
სადღესასწაულო ტკბილეული
პატარა მდინარე
ლიმონას გვარი



# სუდოკუ

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 1 | | | | 8 | |
| | | | 2 | 8 | | | 6 | |
| 2 | 8 | | | | | 1 | 9 | 5 |
| 3 | | | 4 | | 7 | 6 | 5 | |
| | | 9 | | 1 | | 4 | | |
| | 7 | 4 | 8 | | 3 | | | 9 |
| 4 | 3 | 1 | | | | | 2 | 6 |
| | 2 | | | 4 | 6 | | | |
| | 6 | | | | 1 | 9 | | |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | 9 | | 6 |
| | 4 | 7 | | 5 | | | 2 | |
| | | | 1 | 6 | | | | 4 |
| | | | 2 | | 3 | | 1 | |
| | 2 | 3 | | | | 4 | 8 | |
| | 1 | | 4 | | 5 | | | |
| 1 | | | | 2 | 8 | | | |
| | 6 | | | 3 | | 5 | 7 | |
| 3 | | 4 | | | | 8 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | | | 9 | 3 |
| | 9 | 7 | 6 | | | | | 2 |
| | | | 9 | | | 1 | | |
| | | 2 | | | | | | 8 |
| | | | 3 | 8 | 4 | | | |
| 6 | | | | | | 3 | | |
| | | 5 | | | 3 | | | |
| 9 | | | | | 5 | 4 | 7 | |
| 2 | 7 | | | | | | | 9 |

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 3 | 1 | 6 | 9 | 2 | 7 | 4 |
| 6 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 2 | 7 | 9 | 3 | 4 | 5 | 6 | 8 | 1 |
| 3 | 2 | 5 | 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 8 | 1 | 4 | 9 | 6 | 5 | 2 | 3 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 9 | 2 | 6 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 1 | 7 | 3 | 6 | 9 | 4 | 2 |
| 3 | 6 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 3 | 6 | 8 |
| 1 | 7 | 3 | 6 | 2 | 8 | 4 | 5 | 9 |
| 4 | 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 9 | 2 | 5 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 6 |
| 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 7 | 4 | 8 | 2 | 6 | 9 | 5 | 1 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 8 | 9 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 |
| 9 | 1 | 6 | 3 | 8 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 2 | 7 | 3 | 1 | 4 | 5 | 6 | 8 | 9 |
| 8 | 2 | 7 | 4 | 6 | 3 | 5 | 9 | 1 |
| 1 | 3 | 9 | 5 | 7 | 2 | 8 | 4 | 6 |
| 4 | 6 | 5 | 8 | 9 | 1 | 2 | 3 | 7 |
| 7 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 | 3 | 5 | 4 |
| 3 | 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 9 | 6 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 7 | 8 |

# მილოცვა

## ნანა კოხტაშვილ-ზირაქაშვილს!



**გაზაფხულის** ლამაზ დღესასწაულებს, დედისა და ქალთა დღეებს ვულოცავ გაზაფხულივით ლამაზ ქალბატონს, ჩვენი სოფლის – მზისგულის თითოეული მცხოვრებისათვის დიდ იმედსა და მოამაგეს, **ექიმ ნანა კოხტაშვილ-ზირაქაშვილს**. ის მხოლოდ ექიმი არ არის ჩვენი სოფლისათვის, ციდან მოვლენილი ანგელოზია, რომელიც გვეიმედება თავისი ადამიანური ღირსეული თვისებებით. ნანა ექიმი სოფელ უდაბნოს ოჯახის ექიმია, მაგრამ ჩვენს სოფელში ცხოვრობს, არც ჩვენ გვაკლებს თავის პროფესიულ დახმარებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, გახარებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად, მადლობა მის დედას - ქ-ნ ნელი გზირიშვილს ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის. „მე შენ მოგიტან მაისის ვარდებს, რომელთაც ასდით წითელი ალი, არ დაიჯერო – ჩვენო ნანუკა, მზისგულში დადის შენზე ლამაზი ქალი“.

*პატივისცემით სოფელ მზისგულიდან 7 შვილის დედა – თამარ კალანდია-გაბრელაშვილი*

# ხსოვნა

### ირმა კერატიშვილი



მწარე ყოფილა შენი ტკივილი...
სული სიკვდილის დარდმა დაღალა...
შენი ღიმილი, თბილი, კეთილი
სად დაიკარგა, სად დაიმალა?
თუკი ცხოვრებამ ტანჯვა გარგუნა,
იქნებ ბედია, ან უბედობა?
შენ მე მასწავლე დარდით ცხოვრება
და მოგონება დამრჩა იმედად.
ვიცი, რომ გესმის ჩემი ტკივილის,
არ ისურვებდი ამას არასდროს...
შენ ჩემი სულის ტკივილი გქვია
და მონატრება დაუვიწყარი...

**უკვე** რამდენი დღე გავიდა უშენოდ, ირმა, მაგრამ უშენობით განცდილი ტკივილი არ ქრება... უფრო და უფრო ძლიერი ხდება და იდგამს სულში ტკივილის ფესვებს სამუდამოდ დასამკვიდრებლად. ყოველდღე ვცდილობ შენი ღიმილიანი სახის გახსენებას, ალბათ არ მინდა ოდესმე გაქრეს მეხსიერებიდან.

განუზომლად დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული სევდა... დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ რომელ დროს შეუძლია გააყუჩოს ჩვენს სულში შენი მონატრების ტკივილი?!..

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული, ირმა...

*ნონა ხუციშვილი*

# როცა მიზანი დასახულია



**ლანა დრეიძე** საგარეჯოელია. გასულ წელს წარმატებით, ოქროს მედალზე დაამთავრა საგარეჯოს II საჯარო სკოლა. ნათელ მოგონებად შემორჩება მის მეხსიერებას სკოლაში გატარებული ის ლამაზი, აზრიანი, შემოქმედებითი წლები, ძიების, სამყაროს, მეცნიერების შესწავლისა და გაცნობის ხანა. ახსოვს ის მღელვარება და სიხარული, როცა მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ კონფერენციებსა და შემოქმედებით ტურებში უხდებოდა მონაწილეობა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე განაგრძო. წარმატებული გამოდგა მისი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლაც – ლანა დღეს უნივერსიტეტის გრანტოსანი პირველკურსელია. დიახ, მის სწავლაში მშობლები 5100 ლარს არ იხდიან – მან უფასო სწავლების გარანტია თავისი შრომით მოიპოვა.

მოტივირებული სტუდენტი დღეს ახალი წარმატების მოსაპოვებლად იბრძვის – ძალიან უნდა სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში და ახლა, აპრილში ელოდება სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესარჩევ კონკურსს. დიდი სურვილი აქვს – სწავლის უფლება აქაც უფასო მოიპოვოს. ეს კი მხოლოდ სამი ქვეყნის – თურქეთის, პოლონეთის, პორტუგალიის უმაღლეს სასწავლებლებში შეუძლია.

შემდეგ კი, სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოში უნდა მუშაობის დაწყება – რომელიმე წარმატებული კომპანიის მენეჯერობა უნდა.

როცა მიზანი დასახულია, როცა ძალები მობილიზებული, წარმატებაც გარანტირებულია. მაშ, წარმატებები ვუსურვოთ საგარეჯოელ გოგონას.

# ამხანაგური შეხვედრა საგარეჯოს რინგზე

**27 თებერვალს** აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ კრივის სექციის (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე) ინიციატივითა და გაერთიანების მესვეურთა თანადგომით საგარეჯოში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა კრივში, რომელიც ერთგვარ მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში მომავალი მნიშვნელოვანი ასპარეზობების დაწყებამდე. საგარეჯოს რინგზე ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ თბილისის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების: დუშეთისა და ქსანის 2004-2008 წლიანი მოკრივეები. ამისდა შესაბამისად ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა, სადაც საგარეჯოელ მოკრივეთაგან პირველი ადგილები დაიკავეს: დათო ბექაურმა (37კგ), თემურ ჭიაბერაშვილმა (34კგ), გია დეკანოზიშვილმა (66კგ), გაიოზ ფოცხვერაშვილმა (66კგ), ვალერი გულიკაშვილმა (64კგ), ნიკა კუჭუაშვილმა (64კგ), ნიკა კუზანაშვილმა (43 კგ), თენგო ივანიძემ (56კგ), ბაქარ ბარამაშვილმა (56კგ).

ასპარეზობის შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასული ჩვენი და სტუმარი მოკრივეები დაჯილ-

## სპორტი

დოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი ჯილდოებით. აღსანიშნავია, რომ საგარეჯოში მოწყობილმა კრივის დარბაზმა სტუმრების მოწონება დაიმსახურა და გამოთქვეს სურვილი მომავალშიც ესტუმრონ მათ მსგავსი ვიზიტებით.

# ფერაძის გოგონებმა კიდევ ერთხელ გვასახელეს

**აიპ** „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ლუდმილა ფერაძის ძიუდოისტმა გოგონებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭიდავე გოგონათა შორის. ქვეყნის მასშტაბით არ ჩატარებულა არც ერთი სახის ასპარეზობა, რომ მასში მონაწილე მისი აღსაზრდელები ჩემპიონები თუ არა, საპრიზო ადგილის გარეშე დარჩენილიყვნენ.

ასე იყო 5-6 მარტს გამართულ 2000-2001 წელს დაბადებულ ძიუდოისტთა საქართველოს პირველობაზეც, სადაც ჩვენმა კიმანოსანმა გოგონებმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს.

36 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობის ჩემპიონი და ოქროს მედალოსანი გახდა სალომე გულისაშვილი. სალომე არაბულმა კი ამ წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

44 კგ წონით კატეგორიაშიც იგივე განმეორდა, სადაც გარეჯელთა ფინალური შეხვედრა შედგა. აქ ჩემპიონი გახდა სალომე ბლიაძე, ვარდიკო ბუჩაშვილმა კი მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაო მოიპოვა.

48 კგ წონით კატეგორიაში საფინალო ორთაბრძოლა ბოლო წამებზე დათმო მარი კოხტაშვილმა, რომელიც საგარეჯოელთაგან ერთადერთი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ჩემპიონის ტიტულითა და ოქროს მედლით გაგვახარა 52 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლილე ხარანაულმა. მზია ტაკაშვილი კი III საპრიზო ადგილზე გავიდა 63 კგ წონით კატეგორიაში.

# ოქრო და ბრინჯაო ანტალიიდან

**საქართველოს** პირველობის პარალელურად 5-6 მარტს თურქეთში – ანტალიაში ტარდებოდა ევროპის თასის გათამაშება ძიუდოისტ ვაჟთა და გოგონათა შორის, სადაც საქართველოს ნაკრებისა და ქვეყნის სახელს ლუდა ფერაძის აღსაზრდელებიც იცავდნენ. როგორც ყოველთვის გარეჯელმა ძიუდოისტმა გოგონებმა არც ამჯერად შეარცხვინეს თავიანთი მწვრთნელი და ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ. კერძოდ, ევროპის თასის გათამაშების ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი გახდა 70 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სალომე მჭედლიშვილი. ამავე წონის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ჩვენი ოლიმპიური პრიზიორი ნატალია ყიფშიძე, რომელმაც მოტეხილი თითის მიუხედავად მაინც იასპარეზა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. მოკლედ, ასეთი სარვამარტო საჩუქარი გაუკეთეს ლუდმილა ფერაძეს მისმა აღსაზრდელმა ძიუდოისტებმა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდიან მათ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ძიუდოს საგარეჯოელი გულშემატკივრები.

*გ. დაბახიშვილი*

## შვილები

# წერილი დედას გერმანიიდან

**ჩემო** საყვარელო დედა. აი, უკვე 49 წლის გახდი და 23 წლის განმავლობაში შენთვის განსაკუთრებული საჩუქარი არ გამიკეთებია. ვიცი, ახლა ყველაზე დიდი საჩუქარი შენთვის პაპის ნახვა იქნებოდა ან ჩემი ჩახუტება. მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან ვერც ერთ სურვილს ვერ შეგისრულებ ახლა. სამაგიეროდ, ახლა გწერ როგორც შპარკასეს (გერმანიაში ყველაზე მეტი ფილიალის მქონე ბანკი) საბუღალტრო განყოფილების თანამშრომელი. ქალაქ ილუმენაუშია და 650 ევრო არის ანაზღაურება. აუხდა მამას სიზმარი, მარტიდან უკვე მუშაობას ვიწყებ. მე ამას ჩემი შრომით, ჟინით, ნიჭით და ადამიანობით მივაღწიე. შენ კარგად იცი, რა გზაც გამოვიარე და მე ახლა მესმის, შენ რას განიცდიდი იმ დროს, როდესაც მე მცხეთის ფოსტაში ტელეფონთან ვიდექი და შენი ხმის გაგონებას ველოდებოდი და ხმის გაგონებისთანავე ტირილს რომ ვიწყებდი. მაშინ პატარა ვიყავი და არ ვიცოდი რაზე ვტიროდი, ახლა კი ვიცი, შენ რამხელა რამე გაქვს ჩემთვის გაკეთებული. შენ ჩემს ძმას სიცოცხლე შეუნარჩუნე და ამით მე ის სიყვარული მაგრძნობინე, რასაც დედმამიშვილის სიყვარული ჰქვია. ამ გმირობისათვის მე შენ ჩემი ადამიანობით გიხდი მადლობას. ადამიანობით, რომელიც დღესდღეობით ძალიან იშვიათია ამ ცხოვრებაში. მე შენი სითბო ყოველთვის მაკლდა, შენ რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებდი, შენი ნამდვილი ღიმილი მახარებდა, რომლის უკანაც უზარმაზარი სევდა არის ჩაფლული, რაც პაპას სიკვდილმა გამოიწვია და ახლა ჩემმა გერმანიაში წასვლამ. მე შენთან ლაპარაკის დროს ყოველთვის ველოდები საუბრის ბოლოს იმ ორ სიტყვას, რაც მე ძალას და იმედს მაძლევდა, რომელი სიტყვებიც ყოველთვის ჩამესმის როგორც დედის ლოცვა – „ღმერთი შენსკენ“, ამ ყველაფერს მე ჩემში ვინახავდი, არ შემეძლო ემოციების გამოხატვა. მე შენდამი უზარმაზარ სიყვარულს ვინახავ, ვმალავ გულში, იმ სიყვარულს, რასაც დედაშვილობის სიყვარული ჰქვია. არავის არ ვუმხელ ამას, ეს ჩემს გულშია ღრმად ჩაფლული. განა სჭირდება ამას გამოქვეყნება და გაზვიადება სიტყვებით?! ეს ხომ დაბადებისთანავე აქვს ყველა შვილს თავის პატარა გულში და მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძნობს ამას. მე ყველაფერს იმისთვის ვაკეთებ, რომ შენს სახეზე ღიმილი დავინახო. ის ღიმილი, რომელიც მე ჩემი პირველი ხუთიანის მიღებისას მეკლდა სკოლაში. ის ღიმილი, რომელიც ყველა განძს და ოქროს მირჩევნია ამ ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ღმერთმა ისე გადაწყვიტა, რომ მე ეს ღიმილი იშვიათად მენახა. ამიტომ მინდა ამ წერილით შენ გაიხარო, გაიხარო, გაიღიმო, ცრემლები ღვარო და იცოდე, ჩემს გულში რაც ხდება. მინდა ბოდიში მოგიხადო, რომ შენს დაბადების დღეზე ამდენი ცრემლი დაღვარე, მაგრამ ამას პაოლო კოელიოს ერთი ციტატით აგიხსნი: „სიტყვები ცრემლებია, რომლებიც ქაღალდზე იქნა გადატანილი. ცრემლები სიტყვებია, რომლებსაც გამოთქმა სწადიათ. მათ გარეშე სიხარულს არა აქვს ხიბლი, მწუხარებას კი დასასრული. ამიტომ გმადლობთ თქვენი ცრემლებისათვის“.

***გიორგი ვაჭრიშვილი,***
***გერმანია, ქალაქ ერფრუტის უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი***

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru